



საზაფხულო სამუშაოები საფუტკრე მეურნეობაში



გაზაფხულის ბოლო თვე და ზაფხული უმეტესად დაკავშირებულია მთავარი ღალიანობასთან, სითბოა, მცენარეები აქტიური ყვავილობის ფაზაშია, ფუტკარი მთლიანად გადართულია ნექტრის შეგროვებაზე. ამ პერიოდს ფუტკრის ოჯახი მაქსიმალურად მომზადებული უნდა შეხვდეს, რაც გულისხმობს ბუდის მაქსიმალური გაფართოებას, სკაზე კორპუსებით დადგმით, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იქნება აშენებული ფიჭებით და 2-3 ასაშენებელი ფიჭით.

ზაფხულში, როდესაც გარემოში დიდი რაოდენობით ღალაა დაუშვებელია ფუტკრის ოჯახების ხელოვნური კვება, აკარიციდული პრეპარატებისა და ანტიბიოტიკების გამოყენება. თაფლის წურვის პროცესში მნიშვნელოვანია გაითვალისწინეთ, რომ მეფუტკრეობაში დაუშვებელია ნებისმიერი მასალისგან დამზადებული ინვენტარის გამოყენება, საუკეთესოა უჟანგავი ფოლადის გამოყენება.

დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში საფუტკრე მეურნეობაში ჩასატარებელი სამუშაოები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

თვეების მიხედვით საფუტკრეში ჩასატარებელი სამუშაოები

ივნისი

აღმოსავლეთ საქართველო

ამ პერიოდში ფუტკრის ოჯახი აღწევს განვითარების მაქსიმუმს, ბუნებაში დიდი რაოდენობით და აქტიური ყვავილობის ფაზაშია მინდვრის ყვავილები, ცაცხვი, ძეძვი, ფუტკარი აქტიურად მუშაობს, დიდი რაოდენობით შემოაქვს ნექტარი სკაში. მეფუტკრეები ფუტკრის ოჯახებს ამზადებენ მთაბარობისთვის.

დასავლეთ საქართველო

ივნისის პერიოდში დასავლეთ საქართველოში ძირითადი ღალიანობა დასრულებულია და შესაძლებელია თაფლის დაწურვა, მნიშვნელოვანია, ზუსტად განსაზღვროთ თაფლის ამოღების დრო, თუ ღალა უცებ წყდება, როგორც ახასიათებს აკაცია, ცაცხვსა და წაბლს, მაშინ უმჯობესია, თაფლი ღალის შეწყვეტამდე 1-2 დღით ადრე ან შეწყვეტის შემდეგ ერთი კვირის დაგვიანებით ამოიღოთ, რადგან ღალის უეცარი შეწყვეტის შემდეგ ქურდობის საშიშროება დიდია. თაფლის წურვის შემდეგ საფუტკრე მეურნეობაში აუცილებელია ჩაატაროთ ვაროატოზის საწინააღმდეგო ღონისძიებები. გაითვალისწინეთ, რომ სასურველია პრეპარატების საწყისი მოქმედი ნივთიერებების შეცვლა. ღალის დასრულების შემდეგ მოამზადეთ ფუტკრის ოჯახები მთაბარობისთვის.



თაფლის სიმწიფე

თაფლის ამოღებამდე აუცილებლად შეამოწმეთ მისი სიმწიფე. სიმწიფის მაჩვენებლად გამოდგება თაფლიანი ფიჭების გადაბეჭდვა. საკუქნაობებში ჩარჩოების უმეტესი ნაწილი გადაბეჭდილი უნდა იყოს, ხოლო კორპუსებში - ბუდის ჩარჩოს 2/3 მაინც. დარჩენილ გადაუბეჭდავ უჯრედებში თაფლი თითქმის უჯრის კიდემდე უნდა იყოს

ამოსული. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოწურვის შემდეგ შეიძლება ამჟავდეს. ჩარჩოდან ფუტკრის დაფერთხვის დროს თაფლი არ უნდა იღვრებოდეს, ეს ძალზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. თაფლის ამოღების დროს გამოიყენეთ სპეციალური მექანიკური გამრეკები, (პორტერის, პლასმასის კანადური ყვავილოვანი გამრეკები).

მთაბარობა

ფუტკრის ოჯახის გადაყვანა აუცილებელია განახორციელოთ ღამის საათებში, თუ ფუტკრის ოჯახები გადაყავთ საკმაოდ დაშორებულ ადგილას, იმ შემთხვევაში თუ ფუტკარი გადაყავთ ახლო ტერიტორიაზე უმჯობესია გადაიყვანოთ გამთენიისას 4-5 საათზე.

ფუტკრის ოჯახის გადაყვანის დროს გასათვალისწინებელი ფაქტორებია:



➤ სკა უნდა იყოს კარგ მდგომარეობაში, ხვრელები და ნაპრალები უნდა ამოიქოლოს, რათა ფუტკარი მგზავრობის დროს არ გამოვიდეს გარეთ;

➤ აუცილებელია რომ სკას ჩაკეტილი ჰქონდეს საფრენი; განსპორტირების დროს აუცილებელია ფუტკრის ოჯახს მოეხსნას ბალიშები და ზემოდან გაუკეთდეს სავენტილაციო ბადე, რომელიც ფუტკრის ოჯახს დაიცავს გადახურებისგან;

- გასათვალისწინებელია, რომ ახალშენებული თაფლიანი ჩარჩოები, სისუსტის გამო ვერ უძლებს სიცხეს და ადვილად იმტვრევა, რამაც შეიძლება ოჯახის დაღუპვა გამოიწვიოს.
- აუცილებელია სკაში ბოლო ჩარჩოს ან ტიხრის გამაგრება, რათა არ მოხდეს ჩარჩოების ქაოსური მოძრაობა;
- სკა კარგად უნდა შეიკრას სპეციალური ღვედით;
- დანიშნულების ადგილზე ფუტკრის ოჯახების მიყვანისა და ლაფეტიდან გადმოტვირთვის შემდეგ დაუყოვნებლივ გახსენით საფრენები;
- მანქანის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს უმჯობესია მანქანის ძრავი მუშაობდეს.

აღმოსავლეთ საქართველო

ივლისი

ივლისის თვეში კვლავ აქტიურად გრძელდება ღალიანობა, ამ პერიოდში ყვავილობას იწყებს წაბლი. რიგ რეგიონებში მეფუტკრეები თაფლის წურვას იწყებენ ივლისის დასაწყისში, ხოლო სტაციონალურ საფუტკრეებში თაფლის წურვის პროცესი ძირითადად ივლისის ბოლოს იწყება.

დასავლეთ საქართველო

ამ პერიოდში ბარში კოლხეთის დაბლობზე ყვავილობას იწყებს ძიძო და სხვა მინდვრის ყვავილები, მთაში კი წაბლის შემდეგ ცაცხვი და ალპური ყვავილები. ფუტკრისათვის უკეთესი ღალიანი ადგილის შერჩევის მიზნით, იწყება ფუტკრის ოჯახების მთაბარობა. ივლისის ბოლოს კი იწყება თაფლის დაწურვა, გაითვალისწინეთ, რომ წურვის პერიოდი სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულია.

აგვისტო

აღმოსავლეთ საქართველო

გრძელდება თაფლის წურვის პროცესი, აგვისტოს ბოლომდე.

დასავლეთ საქართველო

გამოირჩევა ცხელი ამინდებით, ღალიანობა ძალიან შემცირებულია, ამ დროს სიცხეების გამო ფუტკარი გარეთ საფრენებს ეკიდება და ჩარჩოები რჩება მეთვალყურეობის გარეშე რასაც კარგად იყენებს ცვილის ჩრჩილის პეპელა და ცდილობს კვერცხების დადებას ფიჭებში, რომლიდანაც გამოჩეკილი მატლები ანადგურებენ ფიჭას, სუსტი ოჯახები ან ახალშექმნილი ნუკლეუსები ვერ ერევან და გაქცევით შველიან თავს, მეფუტკრისგან დიდი ყურადღებაა საჭირო რომ ჩრჩილი არ მოერიოს საფუტკრეს ან არ გავრცელდეს ქურდობა. ამ დროისათვის ფუტკრის ოჯახები სუსტდება, დედა ამცირებს კვერცხდებას, მაისს-ივნისში დაბადებული ფუტკრები ცვდებიან და ილუპებიან, ივლისში დაბადებული ფუტკრები ზამთრამდე ვერ გაძლებენ, ოჯახი ზამთარს მხოლოდ აგვისტო-სექტემბერში დაბადებული ფუტკრების ხარჯზე გადაიტანს, მეფუტკრე უნდა მოემზადოს ამ პერიოდისათვის ოჯახების გასაძლიერებლად და კოლხეთის დაბლობზე ოქროწყვპლას ყვავილობისათვის.

როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოსთვის აგვისტოს პერიოდში ზაფხულის ბოლოს, თაფლის წურვის შემდგომ საფუტკრე მეურნეობაში აუცილებელია ჩაატაროთ რიგი სამუშაოები, რათა მიიღოთ ფუტკრის ჯანსაღი ზამთრის თაობა, რომელზეც დამოკიდებულია ოჯახის ნორმალური გამოზამთრება.



კვერცხების სტიმულირება

თუ ფუტკრის ოჯახში შეიმჩნევა კვერცხების შემცირება ან სრულად შეწყვეტა, სასურველია ჩაატაროთ მასტიმულირებელი საკვების მიცემა რამოდენიმეჯერ (სიროფი 1:1-ზე). შეგიძლიათ სიროფში დაამატოთ დედის კვერცხების მასტიმულირებელი საშუალება: სტარტოვიტი, სტიმოვიტი, აკვაკორმი, კოვიტსანი, პჩელოდარი, აპივიტამინკა. სიროფი მიეცით 2-3-ჯერ 3-4 დღის ინტერვალით.

მაღალმთიან რეგიონებში შეამოწმეთ ფუტკრის ოჯახები ზამთრისათვის სამარაგო თაფლის რაოდენობაზე, კერძოდ 1 ჩარჩო ფუტკარზე საჭიროა მინიმუმ 2 კილოგრამი საკვები. იმ შემთხვევაში თუ სამარაგო თაფლი არ არის საკმარისი, საჭიროა თანდათან მისცეთ საკვები მარაგის შესავსები დამატებითი კვება ინვერსირებული სიროფი ან შაქრის სიროფი. მაღალმთიან რეგიონებში ამ პერიოდში აუცილებელია ბუდის შევიწროვება, ამოიღეთ სკიდან ზედმეტი ცარიელი ჩარჩოები, ის ჩარჩოები რომელზეც მცირე რაოდენობით თაფლია და ფიჭები შავი ფერისაა ჩადეთ ბუდის განაპირას, შემდგომი ფიჭების გამოწუნების მიზნით. ფუტკარი თავად გაანაწილებს თაფლს კომპაქტურად ბუდეში. პერიოდულად დაცარიელებული ჩარჩოები ამოიღეთ და შეკარით ბუდე ტიხრით.

აუცილებელია ფუტკრის ოჯახების დამუშავება ვაროას საწინააღმდეგო პრეპარატებით.